



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თუხარისის საერისთავო

თუხარისის საერისთავო, ადმინისტრაციული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში იმიერტაოში. უცნობია თ. ს-ს როგორც წარმოშობის, ასევე გაუქმების ზუსტი დრო. თუხარისის ერისთავი მოიხსენიება „მატიანე ქართლისაში“: „... ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთაუფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატიისა, თვნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა“. მემათიანის ეს ცნობა 1045–47 აშბებს ეხება და თ. ს-ს წყაროებში მოხსენიების ერთადერთი ფაქტია.

თუხარისის ერისთავად შეიძლება მივიჩნიოთ დავით აღმაშენებლის თანამედროვე ბეშქენ ჯაყელი, რ-იც 1118 სელჩუკებთან ბრძოლაში დაიღუპა.

XIV ს. დასაწყისში თუხარელნი მოხსენიებული არიან „სამცხის თავადთა ნუსხაში“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ XIV ს. დასაწყისში თ. ს. აღარ არსებობდა, თუხარისი ფეოდალური იყო და მისი მფლობელები თუხარელებად იწოდებოდნენ.

ლიტ.: ბ ა ხ ტ ა ძ ე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში თბ., 2003.

მ. ბახტაძე
